ქ. თბილისი დაკვეთა №12 10 ოქტომბერი 2014 წელი

ქ. თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, მდ. მტკვარს, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის, მრავალფუნქციური შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

კონსტრუქციული დასკვნა

შესავალი. შ.პ.ს. „სახელოსნო №4“-ში შემოსულია ნიკოლოზ სლოვინსკის (პ/ნ.01008018921) განცხადება ქ.თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, მდ. მტკვარს, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის მდებარე მრავალფუნქციური შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ. სამუშაოს მიზანია (დამკვეთის დავალებით) არსებული შენობის რეკონსტრუქციიდან გამომდინარე მისი მზიდი კონსტრუქციების შესწავლა. ამ მიზნით წარმოდგენილია არსებული შენობის როგორც არქიტექტურული ისე კონსტრუქციული პროექტი, ასევე შემდგომი რეკონსტრუქციის პროექტის არქიტექტურული ნაწილი.

სამუშაოს საგანი: შესწავლილ იქნას შენობის რეალური მდგომარეობა, დადგინდეს საბოლოოდ მათი შემდგომი გამოყენება შენობაზესართულების დასამატებლად.

კვლევის მეთოდი: არსებული შენობის ვიზუალური დათვალიერება. წარმოდგელი კონსტრუქციული პროექტის შესწავლა.

კონსტრუქციების აღწერა: მრავალფუნქციური ორსართულიანი შენობა სარდაფით აშენებულია 2009-:-2011 წლებში. გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, გაბარიტული ზომებით 30.0x17.0 (მ). სართულების სიმაღლე: სარდაფის 4.50 (მ), პირველი და მეორე 3.0 (მ). გრძივი მიმართულებით კოლონებს შორის ბიჯი 6.0 მეტრია, ხოლო განივი მიმართულებით 6.0 და 4.0 მეტრი.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკ/ბეტონის კარკასი:

საძირკველი, მონოლითური რკ/ბეტონის ფილა სისქით 60 (სმ).
სარდაფის კედლები არმირებული რკ/ბეტონისაა, სისქით 35 (სმ).
სვეტების განიკვეთია 70x50 (სმ), რიგელების განიკვეთი 50x60 (სმ).
სართულშუა გადახურვა მონოლითური ფილა h=18 (სმ).
დიაფრაგმები სისქით 25 (სნ), კიბბე მონოლითური რკ/ბეტონის.
სახურავი ბრტყელი, მონოლითური რკ/ბეტონის ფილა h=18 (სმ).
შენობა გაანგარიშებულია 8 ბალიანი სეისმური ზემოქმედებაზე.

შენობის კონსტრუქციების შესწავლის შედეგები:

ვიზუალური დათვალიერებით შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილია. იგი აშენებულია არსებული პროექტის შესაბამისად. ყველა მზიდი კონსტრუქციის კვეთები და გაბარიტები დაცულია. შენობის მზიდ ელემენტებში და ტიხრებში ბზარები და ხარვეზები არ ფიქსირდება. ასევე არ შეიმჩნევა ჯდენითი პროცესები. წარმოდგენილი კონსტრუქციული პროექტის მიხედვით არსებული შენობის ყველა მზიდ კონსტრუქციებში, კვეთებიც და არმატურებიც შესრულებულია საკმაოდ დიდი მარაგით, რაც გვაძლევს შენობაზე სართულების დაშენების შესაძლებლობას.
აუცილებელია მოცემული რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის მიხედვით დამუშავდეს კონსტრუქციული ნაწილი, რომელშიაც გაანგარიშებული იქნება რეკონსტრუქციით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა.
ამასთანავე პროექტი მოყვანილ იქნას დღევანდელ სეისმურ ნორმებთან შესაბამისობაში.

შ.პ.ს. ,,სახელოსნო №4“
ს/კ - 401988587
ქ. თბილისი, დიღმის მასივი 2კვ.
კორპუსი 11, ბ. 52
დირექტორი: ირაკლი გოგოხია

კონსტრუქტორი: გულნარა ჩიტიკიანი